საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეხუთე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ია გაბედავა - კოლეგიის თავმჯდომარე

არჩილ ჩოფიკაშვილი - კოლეგიის წევრი

ბესარიონ ბოხაშვილი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ნ. ზ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 07.06.2019

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: №073/19

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ გ. ქ.-ს მიმართ /სიითი №/

საჩივრის ავტორის მოთხოვნა: ადვოკატ გ. ქ.-სათვის „ადვოკატთა პროფესიული პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2019 წლის 07 ივნისს ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ნ. ზ.-მ და მოითხოვა ადვოკატ გ. ქ.-სთვის „ადვოკატთა პროფესიული პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, 2016 წლის ოქტომბერში სამართლებრივი დახმარების მიღების მიზნით მიმართა შპს ,,ბ. ე. ს. კ.“-ის დირექტორს, ადვოკატ გ. ქ.-ს. მისი სამართლებრივი პრობლემის მოსმენის შემდეგ, ადვოკატმა მისცა საქმის მოგების გარანტია და ამავე დღეს, ზეპირად შეთანხმდნენ, რომ საადვოკატო მომსახურების ღირებულება

იქნებოდა 2000 აშშ დოლარი, ხოლო სასამართლოს მიერ შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ, კლიენტს ადვოკატისათვის პრემიის სახით უნდა გადაეხადა იმ თანხის 50 %, რომლის გადახდისგანაც გათავისუფლდებოდა. აღნიშნული ზეპირი შეთანხმება წერილობით გაფორმდა 2016 წლის 18 ოქტომბერს.

1.3 2017 წლის 2 ივნისს, ადვოკატმა გ. ქ.-მ დაიბარა ოფისში და განუმარტა, რომ მიმდინარე წლის 15 აგვისტომდე სასამართლოში საქმის წარმოებას დაამთავრებდა, რის შედეგად, მას დაუბრუნდებოდა 21800 აშშ დოლარი და შეთანხმებისამებრ მას, როგორც ადვოკატს უნდა მიეღო ამ თანხის 50 %. ამ საუბრისას ადვოკატმა ხელი მოაწერინა შეთანხმებაზე, რომელიც უკვე დაბეჭდილი დაახვედრა და განუმარტა, რომ ეს იმისთვის იყო საჭირო, რომ გარანტირებულად მიეღო დაპირებული თანხა. მომჩივანი განმარტავს, რომ რადგან თავის ადვოკატს ენდობოდა, ამ შეთანხმებას ხელი მოაწერა დაუფიქრებლად.

1.4 საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ადვოკატმა ისარგებლა რა მის მიერ ხელშეკრულებაზე ხელმოწერით, მის წინააღმდეგ მიმართა სასამართლოს, მოითხოვა მისთვის 11000 აშშ დოლარის დაკისრება და დაუყადაღა ქონება. ასევე, ადვოკატმა სასამართლოს სხდომაზე განაცხადა, რომ კლიენტს მისთვის სასამართლო პროცესის ჩანიშვნამდე ყოველ თვე უნდა გადაეხადა 1000 აშშ დოლარი.

1.5 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა მისი საქმის წარმოება შუა პროცესში მიატოვა ისე, რომ საქმის შედეგით არ დაინტერესებულა და კლიენტის წინააღმდეგ დაიწყო სასამართლო დავა. მან გაუუქმა მინდობილობა ადვოკატ გ. ქ.-ს და დაჭირდა ახალი ადვოკატის აყვანა, რათა დაესრულებინა საქმის წარმოება და თავი დაეცვა ყოფილი ადვოკატისაგან.

1.6 საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ მისთვის ახლა გახდა ცნობილი იმის შესახებ, რომ ადვოკატ გ. ქ.-ს არ აქვს სამოქალაქო სპეციალიზაცია და უფლება, რომ სამოქალაქო წესით აწარმოოს საქმე სააპელაციო სასამართლოში.

1.7 2019 წლის 16 ივლისის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე საჩივრის ავტორმა დამატებით განმარტა, რომ მას ადვოკატი დ. კ. ერთხელ ყავს ნანახი, ამ ადვოკატმა მას საქმეზე 1 კითხვაც კი არ დაუსვა. გ. ქ.-ს ის ენდო როგორც ადვოკატს, გული გადაუშალა და შემდეგ ეს ყველაფერი ადვოკატმა მის საწინააღმდეგოდ გამოიყენა. მან ხელშეკრულებას ხელი მოაწერა, მაგრამ არ წაუკითხავს. 2019 წლის 30 ივლისის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე საჩივრის ავტორმა დაადასტურა ის გარემოებები, რაც წერილობით აღნიშნა საჩივარში.

2. ნ. ზ.-ს მოწმის, გ. ბ.-ს ახსნა-განმარტება:

2.1 2019 წლის 30 ივლისის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე მოწმის სახით გამოიკითხა საჩივრის ავტორის შვილი, გ. ბ., რომელმაც განმარტა, რომ მისი ინფორმაციით, დედამისს ისეთი ადვოკატი უნდა აეყვანა, რომლის ჰონორარიც მიბმული იქნებოდა საქმის დადებით შედეგზე. მას დედისგან აქვს ინფორმაცია, რომ ძირითადი სესხის თანხას ემატებოდა პროცენტი, 22000 აშშ დოლარი, დადებითი შედეგი იქნებოდა ამ პროცენტის განულება.

2.2 მოწმის განმარტებით, ის დედას გაყვა ადვოკატთან, სადაც შეესწრო საუბარს, როდესაც ადვოკატი არწმუნებდა დედამისს, რომ თანხა გადაეხადა, რადგან შეაჩერა აუქციონი. ნ. ზ.

ეუბნებოდა, რომ თანხა არ ჰქონდა. შეხვედრისას, როცა ის ადვოკატს უსვამდა შეკითხვებს, ადვოკატმა უთხრა ფრაზა - ,,შენ ვინ გეკითხება, ოთახიდან გადიო", კონფლიქტი არ მოსვლიათ. ადვოკატმა დედამისს წინ დაუდო საბუთი, რომელიც იყო ვალის აღიარება და რომელზეც ნ. ზ.-მ იმ შეხვედრისას, მის თვალწინ მოაწერა ხელი. ადვოკატმა დედამისს განუმარტა, რომ ეს იყო იმისთვის საჭირო, რომ მას, როგორც ადვოკატს, თავისი თანხა მიეღო. მოწმის განმარტებით, დედამისი ანერვიულდა, თუმცა მას ადვოკატისაგან სიტყვიერი მუქარა არ გაუგონია.

3. ნ. ზ.-ს მოწმის, ლ. ტ.-ს ახსნა-განმარტება:

3.1 2019 წლის 30 ივლისის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე მოწმის სახით გამოიკითხა ლ. ტ. მისი ინფორმაციით ნ. ზ.-ს ადვოკატმა გ. ქ.-მ მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებასთან ერთად სარჩელით მიმართა სასამართლოს, სასამართლომ სარჩელი წარმოებაში მიიღო და მისი მოთხოვნა დაკმაყოფილდა. მას აქვს ინფორმაცია, რომ ამ სამუშაოსათვის ადვოკატმა მიიღო გასამრჯელო.

3.2 მოწმის განმარტებით, მას ნ. ზ.-საგან აქვს ინფორმაცია, რომ უჩივლა მისმა ადვოკატმა, სთხოვდა ფულს და ამ საფუძვლით, ადვოკატისათვის უნდა გაეუქმებინა მინდობილობა. ნ. ზ.-მ უთხრა, რომ ვალის აღიარების დოკუმენტზე ფორმალურად მოუწერა ხელი. ამ საქმეზე ჯერ მოსამზადებელი სხდომაც კი არ იყო დანიშნული, ისე ითხოვდა თანხას ადვოკატი. ნ. ზ.-მ ადვოკატს ხელშეკრულება გაუუქმა იანვარში და საქმეზე მოსამზადებელი სხდომა დაინიშნა მარტში. ადვოკატისათვის მინდობილობის გაუქმების შემდეგ, ნ. ზ.-მ ლ. ტ.-ს სახელზე გააფორმა მინდობილობა. პირველ ინსტანციაში მათ პროცესი მოიგეს, თანხა შემცირდა 5000 აშშ დოლარით. ამჟამად საქმე აპელაციის ეტაპზეა.

3.3 მოწმე განმარტავს, რომ მისი ინფორმაციით, იძულებითი აუქციონი ადვოკატ გ. ქ.-ს მოქმედების შედეგად სასამართლომ შეაჩერა. ნ. ზ.-სთვის ცნობილი არ იყო, რომ აუქციონის შეჩერებისათვის გ. ქ.-სთვის ყოველ თვე 1000 აშშ დოლარი უნდა გადაეხადა, რადგან ის ენდობოდა ადვოკატს და ამ ნდობის შედეგად მოაწერა ხელი ხელშეკრულებას.

4. ნ. ზ.-ს მოწმის, მ. ბ.-ს ახსნა-განმარტება:

4.1 2019 წლის 30 ივლისის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე მოწმის სახით გამოიკითხა მ. ბ.. მოწმემ განმარტა, რომ ის არის ნ. ზ.-ს ბიძაშვილი. მას აქვს ინფორმაცია, რომ რადგან მისი სახლი იყო დაყადაღებული, ამ საკითხზე იურიდიული კუთხით დასახმარებლად ნ. ზ.-მ მიმართა ადვოკატებს, გ. ქ.-ს და დ. კ.-ს. ადვოკატებს ასევე უნდა ეწარმოებინათ თავად ნ. ზ.-ს უძრავი ქონების საქმეც, რომელიც ასევე იყო დაყადაღებული.

4.2 მოწმე განმარტავს, რომ ნ. ზ.-ს წაყვა ადვოკატებთან, შეხვედრას ასევე ესწრებოდა ნ. ზ.-ს შვილი - გ. ბ.. ამ შეხვედრისას ადვოკატი ითხოვდა თანხას, 11000 აშშ დოლარს. მოწმეს არ აქვს ინფორმაცია, ამ თანხას რატომ ითხოვდა ადვოკატი.

5. ადვოკატის პოზიცია:

5.1 2019 წლის 22 ივნისს ადვოკატმა გ. ქ.-მ ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი განმარტება, სადაც მიუთითა, რომ ნ. ზ.-ს საჩივარი არის უსაფუძვლო და დაუსაბუთებელი. ადვოკატის განმარტებით, ნ. ზ.-მ ისესხა თანხა, აღებული სესხის უზრუნველსაყოფად

იპოთეკით დაიტვირთა ნ. ზ.-სა და მისი ახლობლების სახელზე რეგისტრირებული სხვადასხვა უძრავი ქონება. რადგან ნ. ზ.-მ ვერ შეასრულა ხელშეკრულებით შეთანხმებული ვალდებულებები, კრედიტორმა გამოითხოვა სააღსრულებო ფურცელი და დაიწყო იძულებითი აღსრულება. 2016 წლის 30 მაისს ნ. ზ.-ს ჩაბარდა კერძო აღმასრულებლის წინადადება, გარკვეული პირობებით, გადაწყვეტილების შესრულების შესახებ.

5.2 ნ. ზ.-მ მის კომპანიას იურიდიული დახმარების მისაღებად მიმართა 2016 წლის ივნისის პირველ ნახევარში. კლიენტის მოთხოვნას წარმოადგენდა იძულებითი აღსრულების შეჩერება მინიმუმ 3 თვით, ხოლო უფრო მეტი ვადით შეჩერების შემთხვევაში, იგი მზად იყო ადვოკატისათვის პრემიის სახით გადაეხადა თვეში 1000 აშშ დოლარი, რადგან დრო სჭირდებოდა კრედიტორისათვის გადასახდელი თანხის შესაგროვებლად. მომსახურების პირობებზე შეთანხმების შემდეგ, მხარეებს შორის 2016 წლის 17 ივნისს გაფორმდა ხელშეკრულება იურიდიული და წარმომადგენლობითი მომსახურების გაწევის შესახებ.

5.3 ხელშეკრულების საგანი განისაზღვრა შემდეგნაირად: ,,დამკვეთისათვის იურიდიული და წარმომადგენლობითი მომსახურების გაწევა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებიდან გამომდინარე იპოთეკართან წარმოებულ მოლაპარაკებებსა და (შესაძლო) სასამართლო დავაში - შემსრულებლის ადვოკატების მეშვეობით. მოცემული ხელშეკრულების მიზნებისათვის დამკვეთის ინტერესს წარმოადგენს: მოცემული ხელშეკრულების ხელმოწერიდან 3 თვის ვადაში არ ჩაინიშნოს აუქციონი იპოთეკის საგნის რეალიზაციის მიზნით; მაქსიმალურად (შესაძლებლობის ფარგლებში) შემცირებულ იქნას იპოთეკარისათვის გადასახდელი თანხის ოდენობა; მოცემული ხელშეკრულებით გათვალისწინებული დავის საგნის ღირებულება შეადგენს 59750 აშშ დოლარის ექვივალენტს ლარში და 120 ლარს.“

5.4 ხელშეკრულებით განისაზღვრა ანაზღაურების წესი და პირობები: ,,მოცემული ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების საფასური შეადგენს - 2000 აშშ დოლარს (ექ. ლარში), რომელიც დამკვეთმა უნდა გადაიხადოს იძულებითი აღსრულების შეჩერებიდან არაუგვიანეს 3 დღის ვადაში; დამკვეთი შემსრულებელს უხდის პრემიას 50% ოდენობით იმ თანხებიდან ან/და სხვა მატერიალური ქონებიდან, რომელიც მოცემულ საქმეზე გამოტანილი შემაჯამებელი გადაწყვეტილების თანახმად უნდა მიიღოს დამკვეთმა ან რომელთა გადახდისაგან იგი გათავისუფლდა; პუნქტი 4.2.-ით გათვალისწინებული საზღაურის გადახდა უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებით შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 7 დღის ვადაში; 4.3 და 4.8 პუნქტებით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამკვეთს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადაუხდელი თანხის 0.3%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე; იპოთეკის საგანთან მიმართებაში თუ იძულებითი აუქციონი არ დაინიშნება მოცემული ხელშეკრულების ხელმოწერიდან არანაკლებ 3 თვის განმავლობაში, შემდგომ ყოველ დამატებით თვეზე დამკვეთი შემსრულებელს უხდის პრემიას 1000 აშშ დოლარის (ექ/ლარში) ოდენობით.“

5.5 ადვოკატის განმარტებით, შესაბამისი რწმუნებულების საფუძველზე, საქმეს აწარმოებდა კომპანიის პარტნიორი, ადვოკატი დ. კ., რომლის მიერ მომზადებული განცხადების

საფუძველზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 20 ივნისის განჩინებით შეჩერდა იძულებითი აღსრულება სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, 2016 წლის 23 ივნისს.

5.6 2016 წლის 30 ივნისს სასამართლოს წარედგინა ნ. ზ.-ს სარჩელი კრედიტორის წინააღმდეგ, რომელიც სასამართლომ წარმოებაში მიიღო 2016 წლის 4 ივნისს.

5.7 ნ. ზ.-ს 2016 წლის 17 სექტემბრიდან იურიდიული კომპანიისათვის უნდა გადაეხადა ყოველთვიურად 1000 აშშ დოლარი, რომელიც მან, მიუხედავად არაერთი დაპირებისა, არ შეასრულა. ასევე 2017 წლის 2 ივნისის შეთანხმებით, ნ. ზ.-მ აიღო ვალდებულება, რომ დავალიანებას 1100 აშშ დოლარის ოდენობით დაფარავდა 2017 წლის 15 აგვისტომდე, რაც ასევე არ შეასრულა. აქედან გამომდინარე, კომპანიამ ნ. ზ.-ს მიმართ სარჩელით მიმართა სასამართლოს 2017 წლის 7 დეკემბერს. თავის მხრივ, ნ. ზ.-მ 2018 წლის 19 ივნისს შეგებებული სარჩელი შეიტანა კომპანიის წინააღმდეგ იგივე პრეტენზიებით, რომელიც მას აქვს ეთიკის კომისიაში. სარჩელების განხილვა დასრულებული არ არის.

5.8 ადვოკატი განმარტავს, რომ მას ნ. ზ.-სთვის საქმის მოგების გარანტია არ მიუცია და ამის შესახებ მითითებულია ხელშეკრულებაში.

5.9 ადვოკატი განმარტავს, რომ თავად ნ. ზ.-მ გააუქმა მისთვის გაცემული მინდობილობა 2018 წლის 10 იანვარს, მანამდე მას კლიენტის საქმის წარმოება არ მიუტოვებია. რწმუნებულების გაუქმების შემდეგ, ცხადია კლიენტის მომსახურებას ვერ შეძლებდა.

5.10 ადვოკატი განმარტავს, რომ ის კლიენტის თხოვნით აწარმოებდა მოლაპარაკებებს ნ. ზ.-ს სხვა კრედიტორებთან და აღმასრულებელთან, რათა მათ აუქციონზე არ გაეტანათ ნ. ზ.-ს ქონება. ნ. ზ.-ს საჩივარი განაპირობა იმ ფაქტმა, რომ ის ცდილობს არ შეასრულოს კომპანიის წინაშე აღებული ვალდებულება.

5.11 2019 წლის 10 სექტემბრის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა განმარტა, რომ როდესაც მას დახმარებისთვის მიმართა ნ. ზ.-მ, მის საქმეზე სასამართლოს უკვე ჰქონდა მიღებული გადაწყვეტილება, რომლითაც არ იყო დაკმაყოფილებული ნ. ზ.-ს განცხადება მოთხოვნის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების - აღსრულების შეჩერების შესახებ. მათი მომსახურების შედეგად კლიენტმა მიიღო ის შედეგი, რაც სურდა.

5.12 ადვოკატი განმარტავს, რომ 2017 წლის 02 ივნისის შეთანხმებაზე ხელმოწერას ესწრებოდნენ მისი კოლეგა - დ. კ., ნ. ზ.-ს ვაჟი და მ. ბ., შესაბამისად, რაიმე სახის იძულებას ადგილი არ ჰქონია. მათ აქვთ ამ შეხვედრის ჩანაწერი, შეხვედრის ჩაწერის საჭიროება წარმოიშვა მას შემდეგ, რაც ნ. ზ.-ს შვილის მხრიდან ადგილი ჰქონდა პროვოკაციულ ქცევას.

II სამოტივაციო ნაწილი

6. ფორმალური წინაპირობების შემოწმება

6.1 ადვოკატი გ. ქ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი №/, სპეციალიზაცია - სისხლის სამართალი. ადვოკატს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა არ აქვს შეჩერებული, ასევე ადვოკატი არ არის გარიცხული საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან.

6.2 ნ. ზ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2019 წლის 07 ივნისს.

6.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2016-2017 წლებში. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისათვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა - 5 წელი.

7. შემაჯამებელი დასკვნა

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ გ. ქ.-ს მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა პროფესიული პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

8. სამართლებრივი შეფასება

8.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა მისცა საქმის წარმატებით დასრულების გარანტია; ადვოკატმა ისარგებლა მისი ნდობით და ხელი მოაწერინა ვალის აღიარების ხელწერილზე; ადვოკატმა მიატოვა მისი საქმის წარმოება და სასამართლოს გზით ედავება იმ ჰონორარს, რომელიც არ გამოუმუშავებია; ადვოკატს არ აქვს სამოქალაქო საქმის წარმოების ლიცენზია;

8.2 საპროცესო კოლეგიამ საჩივრის ავტორის პრეტენზიასთან დაკავშირებით, რომ ადვოკატმა მისცა საქმის წარმატებით დასრულების გარანტია, იმსჯელა აპეკ-ის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის შესაძლო დარღვევის თაობაზე:

„ადვოკატს უფლება არა აქვს კლიენტს მისცეს გარანტიები მისგან აღებული საქმის შედეგებთან დაკავშირებით“

8.3 საქმის 100%-ით მოგების გარანტიის მიცემასთან დაკავშირებით, ეთიკის კომისიამ 2014 წლის 12 ივნისის N077/13 გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ ,,ადვოკატის პირდაპირ მოვალეობას წარმოადგენს, იზრუნოს ადვოკატის პროფესიისადმი საზოგადოებაში ნდობის ამაღლებისა და დაფასებისათვის. ადვოკატის მიერ კლიენტისათვის მისგან მიღებული საქმის შედეგზე გარანტიის მიცემა ზიანს აყენებს ადვოკატის პროფესიისადმი საზოგადოებაში დამკვიდრებულ შეხედულებებსა და ნდობას და ასევე, კლიენტს უჩენს არასწორ მოლოდინს სასამართლო გადაწყვეტილებისადმი და კლიენტის მიერ შესაძლო რისკების შეფასება რთულდება. შესაბამისად, ადვოკატის მიერ გაცემული გარანტია საფრთხეს უქმნის როგორც საადვოკატო საქმიანობისადმი სანდოობას, ისე, მართლმსაჯულების სისტემისადმი დამოკიდებულებას; თუკი კლიენტისათვის მოულოდნელი სასამართლო გადაწყვეტილებით სრულდება საქმე, კლიენტი, როგორც საზოგადოების წევრი უნდობლობით განიმსჭვალება ან ადვოკატის ან სასამართლო ხელისუფლების მიმართ, რაც საბოლოო ჯამში უარყოფითად აისახება ადვოკატის პროფესიის განზოგადებულ რეპუტაციაზე ან მართლმსაჯულების სისტემის ფუნქციონირებაზე.“

8.4 საჩივრის ავტორსა და შპს ,,B. A. C. L. C.” დირექტორს, გ. ქ.-ს შორის ხელშეკრულება იურიდიული და წარმომადგენლობითი მომსახურების გაწევის თაობაზე გაფორმებულია

2016 წლის 17 ივნისს. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა ნ. ზ.-სათვის იურიდიული და წარმომადგენლობითი მომსახურების გაწევა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ,,იპოთეკართან" წარმოებულ მოლაპარაკებებსა და (შესაძლო) სასამართლო დავაში - შემსრულებლის, ადვოკატების მეშვეობით. აქვე მხარეთა მიერ განისაზღვა ნ. ზ.-ს ინტერესი: ხელშეკრულების ხელმოწერიდან 3 თვის ვადაში არ ჩაინიშნოს აუქციონი იპოთეკის საგნის რეალიზაციის მიზნით; შესაძლებლობის ფარგლებში მაქსიმალურად იქნას შემცირებული იპოთეკარისათვის გადასახდელი თანხის ოდენობა. ნ. ზ.-ს საქმეს აწარმოებდა შპს-ს პარტნიორი, ადვოკატი საერთო სპეციალიზაციით - დ. კ..

8.5 საქმეში ჩართულმა ადვოკატებმა განახორციელეს საადვოკატო მოქმედებები, რომლებიც კლიენტის ინტერესის სასარგებლოდ იყო მიმართული: სარჩელით მიმართეს სასამართლოს, გამოიყენეს სარჩელის აღძვრამდე მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 20 ივნისის განჩინებით საქმეზე NXXX-16 შეჩერდა კერძო აღმასრულებლის მიერ დაწყებული იძულებითი აღსრულება სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

8.6 კოლეგიის შეფასებით, მხარეთა შორის 2016 წლის 17 ივნისის ხელშეკრულების 3.1.7 პუნქტში პირდაპირ არის მითითება: ,,შემსრულებელს უფლება არ აქვს დამკვეთს მისცეს გარანტიები მისგან აღებული საქმის შედეგებთან დაკავშირებით". საჩივრის ავტორი ხელს აწერს ხელშეკრულების ყველა გვერდს, შესაბამისად ივარაუდება, რომ ის გაეცნო და დაეთანხმა ხელშეკრულების პირობებს. ადვოკატი არ ეთანხმება საჩივრის ავტორის პრეტენზიას და უთითებს აღნიშნულ ხელშეკრულებაზე. ნ. ზ.-ს ინიციატივით კოლეგიამ მოწმის სახით გამოკითხა მისი შვილი, გ. ბ., რომელმაც განმარტა, რომ მისი ინფორმაციით, დედამისს უნდა აეყვანა ისეთი ადვოკატი, რომელიც საქმეს წარმატებით დაასრულებდა, თუმცა მოწმე არ არის იმ ფაქტის შემსწრე, რომ ადვოკატმა გ. ქ.-მ ნ. ზ.-ს მისცა საქმის წარმატებით დასრულების გარანტია. მხარეთა პოზიციებისა და წარმოდგენილი მტკიცებულებების შესაბამისად, ადვოკატ გ. ქ.-ს კლიენტისათვის საქმის შედეგზე გარანტია არ მიუცია.

8.7 საჩივრის ავტორის პრეტენზიაზე, ადვოკატის მიერ ნდობის პრინციპის დარღვევასთან დაკავშირებით, საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა აპეკ-ის მე-3 მუხლის ფარგლებში:

„კლიენტისა და ადვოკატის ურთიერთობა ეფუძნება ნდობას. ადვოკატისადმი კლიენტის ნდობა ეფუძნება ადვოკატის პირად ღირსებას, პატიოსნებას, შეუვალობას კომპეტენტურობას და დამოუკიდებლობას. ადვოკატმა არ უნდა იმოქმედოს ისე, რომ ეჭვქვეშ დააყენოს მისდამი კლიენტის ნდობა. აღნიშნული თვისებები ადვოკატის პროფესიული ვალდებულებაა".

8.8 ეთიკის კომისიამ 2014 წლის 12 ივნისის N077/13 გადაწყვეტილებაში, ნდობის პრინციპთან დაკავშირებით განმარტა, რომ ,,ადვოკატისადმი კლიენტის ნდობის დამკვიდრება, მათ შორის მომავალი საქმიანი ურთიერთობის ჩამოყალიბებისა და გაგრძელების საფუძველია. კლიენტს ადვოკატის პიროვნული და საქმიანი თვისებების გათვალისწინებით უყალიბდება იმის რწმენა, რომ ადვოკატი კეთილსინდისიერად მიუდგება მისდამი მინდობილ საქმეს და დაიცავს მის ინტერესებს. შესაბამისად, ადვოკატი არ უნდა მოქმედებდეს ისე, რომ ეჭვქვეშ დააყენოს მისდამი კლიენტის ნდობის საკითხი და ჩრდილი მიაყენოს ადვოკატის

პროფესიისადმი საზოგადოებაში დამკვიდრებულ მაღალ შეხედულებას. აღნიშნულს მოითხოვს ადვოკატთა პროფესიის კორპორატიული არსი“.

8.9 2017 წლის 02 ივნისს შპს ,,B. A. C. L. C.”-ს დირექტორს, გ. ქ.-სა და ნ. ზ.-ს შორის დაიდო შეთანხმება, რომლის თანახმად, ნ. ზ.-მ აღიარა, რომ შპს-ს წინაშე მისი დავალიანება შეადგენდა 11000 აშშ დოლარს, აქვეა მითითებული, რომ ნ. ზ. ამ თანხას გადაიხდის 2017 წლის 15 აგვისტოს. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, 2017 წლის დეკემბრის თვეში კუთვნილი თანხის მიღების მიზნით, შპს-მ სარჩელით მიმართა სასამართლოს ნ. ზ.-ს მიმართ. ნ. ზ. განმარტავს, რომ მან ხელშეკრულებას ხელი მოაწერა ზეწოლით. კოლეგიამ გამოკითხა ხელშეკრულების ხელმოწერის დამსწრე პირები, ნ. ზ.-ს შვილი გ. ბ. და ნ. ზ.-ს ბიძაშვილი მ. ბ.. მოწმეებმა ხელშეკრულების ხელმოწერაზე იძულების ფაქტი არ დაადასტურეს.

8.10 საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი სახელშეკრულებო ნების თავისუფლების ფარგლებში, ადვოკატი და კლიენტი თავად თანხმდებიან ხელშეკრულების მათთვის მისაღებ პირობებზე. კლიენტი ნ. ზ. დაეთანხმა ადვოკატის ჰონორარს. კლიენტის მიერ, ჰონორარის მითითებულ ვადაში გადაუხდელობის შემდეგ, ადვოკატმა გამოიყენა კანონიერი საშუალება - სარჩელით მიმართა სასამართლოს, რაც არ წარმოადგენს ეთიკურ გადაცდომას.

8.11 საჩივრის ავტორის პრეტეზიასთან დაკავშირებით, რომ ადვოკატმა გ. ქ.-მ მისი მომსახურება მიატოვა, კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატის მიერ აპეკ-ის მე-8 მუხლის მე-7 ნაწილის ფარგლებში:

,,ადვოკატმა არ უნდა ისარგებლოს საქმეზე უარის თქმის უფლებით ისეთ გარემოებებში, როდესაც კლიენტი უძლური იქნება დროულად ისარგებლოს სხვა ადვოკატის იურიდიული დახმარებით, კლიენტისათვის ზიანის მიყენების თავიდან აცილების მიზნით“.

8.12 კოლეგია განმარტავს, რომ მხარეები სადავოდ არ ხდიან და საქმეშია წარმოდგენილი დოკუმენტი რწმუნებულების/მინდობილობის გაუქმება N, რომლის თანახმად, მინდობილობა ადვოკატს გაუუქმა კლიენტმა, ნ. ზ.-მ. ამ ფაქტს მხარეები სადავოდ არ ხდიან. მინდობილობის გაუქმების შემდეგ, ცხადია ადვოკატი გ. ქ. კლიენტისათვის მომსახურების გაწევას ვერ შეძლებდა, შესაბამისად, ნ. ზ.-ს პრეტენზია ამ ნაწილში დაუსაბუთებელია, რადგან მან თავისი სურვილით განაცხადა უარი ადვოკატის მომსახურებაზე.

8.13 კლიენტის პრეტენზიაზე ადვოკატის სპეციალიზაციასთან დაკავშირებით, კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატ გ. ქ.-ს ნ. ზ.-სთან ხელშეკრულება დადებული ჰქონდა როგორც შპს-ს დირექტორს. ნ. ზ.-ს საქმეს სამოქალაქო წარმოების წესით აწარმოებდა შპს-ს პარტნიორი ადვოკატი საერთო სპეციალიზაციით - დ. კ.. ადვოკატი გ. ქ. ნ. ზ.-ს საქმეში ჩართული იყო როგორც წარმომადგენელი, რაც არ წარმოადგენს ეთიკურ გადაცდომას.

8.14 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა შესახებ'' საქართველოს კანონის 32–ე და 33–ე მუხლებით; ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების 40–ე მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №073/19 ადვოკატ გ. ქ.-ს მიმართ /სიითი №/ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ია გაბედავა/

კოლეგიის წევრი: /არჩილ ჩოფიკაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ბესარიონ ბოხაშვილი/